საქართველოს მთავარ პროკურორს

ბატონ გიორგი ბადაშვილს

მოქალაქე გიორგი კლდიაშვილის

მცხოვრები მისამართზე: თბილისი, ნიაღვრის ქ. #4, ბ. #18

ტელ: 599770100

გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ა

(ჩემს წინააღმდეგ, სავარაუდოდ, მტკიცებულებების ფალსიფიცირების

გამო გამოძიების დაწყებაზე)

მოგახსენებთ, რომ მე- გიორგი კლდიაშვილი ვარ ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტის (IDFI) დირექტორი. 2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ უკანონოდ მოხდა ჩემი დაკავება და კონსტიტუციით გარანტირებული უფლებების შელახვა, რაზედაც თბილისის საქალაქო სასამართლომ აღნიშნა, რომ ჩემთვის თავისუფლების შეზღუდვა იყო უკანონო.

2012 წლის 12 დეკემბერს, დაახლოებით 15:10 წუთზე მე გამაჩერეს გამრეკელის ქუჩაზე საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა, რომლებსაც, როგორც განმიცხადეს ჰქონდათ ოპერატიული ინფორმაცია, რომ მე გადამქონდა უკანონო იარაღი და საბრძოლო მასალა. მე მათ ვაჩვენე საბუთი ნომრით IB0185482, ჩემს სახელზე რეგისტრირებული ცეცხლსასროლი იარაღის შესახებ და ასევე მე მათ ვანახე ჩემი მართვის ქვეშ მყოფი ავტომანქანის საბარგულში

მოთავსებული ოთხ ნაწილად დაშლილი ჩემს სახელზე რეგისტრირებული იარაღი (პარაბელუმი ნომრით 4625, რომელიც მომქონდა ხელოსნიდან (ხელოსანი ბატონი პაატა მუსერიძე არის მაღაზიის მესაკუთრე და ასევე მუშაობს მაღაზია „დენთში“ ალ. ყაზბეგის გამზირზე 25ა) შეკეთების შემდგომ სახლში. მე კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებმა თავდაპირველად განმიცხადეს, რომ ჩემი ქმედება ითვალისწინებდა მხოლოდ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებულ დაჯარიმებას.

დაახლოებით 16:00 წუთზე მე გავყევი საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის თანამშრომლებს საქართველოს შს სამინისტროს შენობაში (ორთაჭალაში), სადაც მათ განმიცხადეს, რომ მე დამკითხავდნენ. შს სამინისტროს შენობაში მე მითხრეს, რომ ხელმძღვანელობას სურდა ჩემთან საუბარი, და მე სავარაუდოდ გამესაუბრა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეპარტამენტის უფროსის მოადგილე ბატონი მირზოევი (როგორც მე მახსოვს), რომელმაც განმიცხადა, რომ ჩემი ქმედება წარმოადგენდა იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებას და ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კოდექსის 236 მუხლის მეორე ნაწილით გათვალისწინებულ სასჯელს. ამის შემდგომ, მან დამიწყო საუბარი ჩემს საქმიანობაზე, კერძოდ თუ რატომ შემყავდა მოსახლეობა შეცდომაში, როდესაც მე ვამბობდი, რომ ისინი ყველას უსმენდნენ. ამაზე მე განვუცხადე, რომ ეს არის ჩემი აზრი და მაქვს ყველანაირი ლეგიტიმური უფლება, რომ მე ასე ვივარაუდო. ასევე, მე მას განვუცხადე, რომ მე ვსაუბრობდი შსს-ის რეფორმაზე და პროკურატურის რეფორმაზე, რაც დაიწყო საქართველოს მთავრობამ. ამის შემდგომ, მე აღარ მოვინდომე ამ საუბრის გაგრძელება. ჩვენს საუბარს ესწრებოდა კრიმინალური პოლიციის ერთ-ერთი სამსახურის უფროსი (გვარი არ მახსოვს) და ასევე ერთ-ერთი ოფიცერი, რომელმაც გამაჩერა გამრეკელის ქუჩაზე (სახელი და გვარი არ მახსოვს) შემდგომ მე ბატონმა მირზოევმა მითხრა, რომ მომიწევდა „2 დღით იზოლატორის ნახვა“, რაზეც მე გამოვთქვი პროტესტი და ვუთხარი, რომ ეს არ იყო არანაირად საჭირო, რადგან მე მზად ვიყავი დამეწერა ხელწერილი და გამოვცხადდებოდი სადაც იქნებოდა საჭირო, ასევე მე მზად ვიყავი, რომ დავკავშირებოდი ადამიანებს, რომლებიც დამიდგებოდნენ თავდებში, რომ მე არ მივემალებოდი გამოძიებას. ამაზე ბატონმა მირზოევმა განმიცხადა, რომ გადაწყვეტილი იყო, რომ მე სასამართლო სხდომამდე უნდა მოვეთავსებინეთ იზოლატორში. მე დავემორჩილე მათ გადაწყვეტილებას და ჩვენი საუბრის შემდგომ, დამკითხა გამომძიებელმა ბატონმა მინდია ფერაძემ, რომელმაც როგორც ეჭვმიტანილი დამაკავა 18:40 საათზე და ამის შემდგომ გადამიყვანეს ე.წ. „მოდულის შენობის“ იზოლატორში, სადაც მე მომიწია დაახლოებით 48 საათის გატარება.

2015 წლის 14 დეკემბერს მე წამიყენეს ბრალი იარაღის მართლსაწინააღმდეგო ტარებისთვის (ქმედება გათვალისწინებული საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 236–ე მუხლის მე–2 ნაწილით) და იმავე დღეს წარვსდექი სასამართლოს წინაშე აღკვეთის ღონისძიების გამოსაყენებლად. პროკურორმა მოითხოვა ჩემთვის აღკვეთის ღონისძიების სახით 3000 ლარის ოდენობის გირაოს შეფარდება თანხის გადახდამდე პატიმრობაში დატოვებით. სასამართლომ ნაწილობრივ დააკმაყოფილა პროკურატურის შუამდგომლობა და აღკვეთის ღონისძიების სახედ შემეფარდა მხოლოდ გირაოს გადახდა 1500 ლარის ოდენობით, ხოლო იმის გამო, რომ სასამართლომდე ჩემი დაკავება იყო უკანონო, სასამართლო განჩინებით პატიმრობიდან გავთავისუფლდი.

თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიის 2014 წლის 14 დეკემბრის #10დ/7155-14 განჩინებით სასამართლომ დაადგინა, რომ 2014 წლის 12 დეკემბერს ჩემი- გიორგი კლდიაშვილის დაკავება გახლდათ უკანონო და წარიმართა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 171-ე მუხლის მოთხოვნათა არსებითი დარღვევით. სასამართლოს განმარტებით, არ არსებობდა გადაუდებელი აუცილებლობა ჩემი დაკავებისა, რადგან საკუთარი ნებით მივიღე მონაწილეობა საგამოძიებო მოქმედებებში, რაც გამორიცხავდა შესაძლო მიმალვას. სასამართლომ მიუთითა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის 176-ე მუხლის პირველი ნაწილის "ე" ქვეპუნქტზე და იმის გამო, რომ დაკავება წარიმართა სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის არსებითი დარღვევით, ორ დღიანი უკანონო პატიმრობის შემდეგ გამათავისუფლა დაკავებიდან.

2015 წლის 15 იანვრის წინასასამართლო სხდომაზე თბილისის საქალაქო სასამართლოს სისხლის სამართლის საქმეთა კოლეგიამ პროკურატურის მიერ წარდგენილი მტკიცებულებები მიიჩნია დაუშვებლად და ქმედებაში სისხლის სამართლის ნიშნების არარსებობის გამო, შეწყვიტა წარმოება, რაც პროკურატურის მიერ გასაჩივრდა თბილისის სააპელაციო სასამართლოს საგამოძიებო კოლეგიაში. საგამოძიებო კოლეგიის 2015 წლის 23 იანვრის განჩინებით საქალაქო სასამართლოს გასაჩივრებული განჩინება დარჩა უცვლელი და შევიდა ძალაში.

პროკურატურის მიერ წარმოდენილი მტკიცებულებები, კერძოდ შსს-ის ცენტრალური კრიმინალური პოლიციის დეტექტივ-გამომძიებლის ბატომ რაჟდენ მარგიანის პატაკი და მისი დაკითხვის ოქმი, ჩემი ვარაუდით, არის ფალსიფიცირებული და შედგენილია ჩემი დაკავების შემდგომ, ანუ უფრო გვიან, ვიდრე გამოძიება დაიწყებოდა. ამას ადასტურებს რეალობასთან იმ ფაქტების შეუსაბამობა, რაც წერია პატაკში და ასევე იმ

დროის სხვაობა, რაც არსებობდა ჩემს დაკავებასა და პატაკის შედგენის მომენტს შორის. გარდა ამისა, პროკურატურის მიერ ჩემთვის გადმოცემული მტკიცებულება, (კერძოდ ბატონ რაჟდენ მარგიანის ხელმოწერით დადასტურებული დაკითხვის ოქმი (**თარიღი 01.01.001**) არის შედგენილი განსხვავებული თარიღით, არის სხვა შრიფტით დაწერილი და ასევე არის გარკვეული განსხვავებები ტექსტში, იმ მტკიცებულებასთან შედარებით, რომელიც ბრალდებამ წარმოადგინა სასამართლოში. სასამართლომ დაუშვებლად ცნო ბატონ რაჟდენ მარგიანის დაკითხვის ოქმი, რადგან წარმოდგენილი დოკუმენტის შეცვლის/გამოცვლის შესახებ გონივრული ეჭვი ვერ გააბათილა ბრალდების მხარემ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, მე მაქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩემს მიმართ ხორციელდებოდა განზრახ უკანონოდ ფარული მიყურადება მოსმენის ან თვალთვალის სახით, რის შედეგადაც მოხდა უკანონო ინფორმაციის მოპოვება, ჩემი გაჩერება და მტკიცებულებების მოპოვება ჩემს საზიანოდ.

ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, ასევე იმის გათვალისწინებით, რომ მე ბრალი წამიყენეს აბსოლუტურად არასწორი კვალიფიკაციით, მე მიმაჩნია, რომ ადგილი ჰქონდა შსს-ის და პროკურატურის თანამშრომელთა პირად დაინტერესებას, რომ მომხდარიყო ჩემი დისკრედიტაცია მოსახლეობის თვალში, როგორც აქტიური სამოქალაქო საზოგადოების წევრის და ცნობილი არასამათავრობო ორგანიზაციის ხელმძღვანელის. ასევე პირად დაინტერესებას, რომ მე გავესამართლებინე სისხლის სამართლის ბრალდებით. ვფიქრობ, რომ ჩემს უკანონო და უსაფუძვლო დაკავებას და პატიმრობაში მოთავსებას, მიზნად ჰქონდა ჩემი დაშინება და ჩემზე ფსიქოლოგიური ზეწოლის განხორციელება.

მიმაჩნია, რომ საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს და საქართველოს მთავარი პროკურატურის თანამშრომლების მხრიდან დაირღვა კონსტიტუციით გარანტირებული ჩემი უფლებები, მე მაქვს დასაბუთებული ვარაუდი, რომ ჩემზე ხორციელდებოდა უკანონო თვათვალი, მიყურადება და უკანონოდ მტკიცებულებების მოპოვება, ჩემი უკანონო დაპატიმრება და პატიმრობაში მოთავსება, ისევე, მე ვვარაუდობ, რომ მოხდა ჩემს საქმეში გამოძიების მასალების ფალსიფიცირება და უკანონოდ შედგენა, რის ვარაუდის საფუძველსაც მე მაძლევს ის გარემოება, რომ მე მტკიცებულების სახით გადმომცეს სხვა დოკუმენტი, ხოლო სასამართლოში ბრალდებამ წარადგინა შეცვლილი დოკუმენტი, რაც სასამართლომ არ დაუშვა მტკიცებულებად და ასევე აღნიშნა რომ გონივრული ეჭვი არ არის უარყოფილი აღნიშნული დოკუმენტის შეცვლის/გამოცვლის,

რომლის მტკიცების ტვირთი აკისრია ბრალდების მხარეს. ასევე, მე მაქვს საფუძვლიანი ეჭვი, რომ ჩემს მიმართ არსებობდა პიროვნული ინტერესი კონკრეტული უწყებების თანამშრომლების მხრიდან, რომ ჩემი დაკავებით და უკანონო დაპატიმრებით მომხდარიყო ჩემი სახელის საზოგადოებაში დისკრედიტირება და ასევე, ადგილი ჰქონდა ჩემზე ზეწოლა, როდესაც მე მესაუბრნენ ჩემს საქმიანობაზე და ასევე ზეწოლას წარმოადგენდა უსაფუძვლოდ და უკანონოდ ჩემი „მოდულის იზოლატორში“ პატიმრობაში მოთავსება.

სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-100 მუხლის თანახმად პროკურატურა ვალდებულია გამოძიება დაიწყოს განცხადების მიღებისთანავე. ამავე კოდექსის 37-ე მუხლის თანახმად გამოძიება უნდა ჩატარდეს ყოველმხრივ, სრულად და ობიექტურად.

საქართველოს იუსტიციის მინისტრის 2013 წლის 07 ივლისის ბრძანება N34- ის თანახმად, პროკურატურის გამომძიებლის საგამოძიებო ქვემდებარეობას განეკუთვნება საქმეები: საქართველოს პრეზიდენტის, საქართველოს პარლამენტის წევრის, საქართველოს მთავრობის წევრის, საქართველოს მოსამართლის, სახალხო დამცველის, გენერალური აუდიტორის, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩისა და დესპანის, პროკურატურის მუშაკის, პოლიციელის, თანამდებობაზე მყოფი უმაღლესი სამხედრო ან უმაღლესი სპეციალური წოდების მქონე ოფიცრის ან მასთან გათანაბრებული პირის მიერ ჩადენილ დანაშაულთა თაობაზე.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ფაქტზე გამოძიება უნდა აწარმოოს პროკურატურამ.

პატივისცემით,

გიორგი კლდიაშვილი

თარიღი: 11 თებერვალი 2015 წ.